"DANSE MACABRE" – სიკვდილის ცეკვა

ანანო სამსონაძე

საკვანძო სიტყვები: *Danse Macabre, ხელოვნება, ცეკვა, ქორეოგრაფია, შუასაუკუნეები, კურტ იოსი, როლან პეტი, ირჟი კილიანი*

Danse Macabre არის მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც წარმოადგენს გამოძახილს შუასაუკუნეების ეპოქალურ გამოწვევებზე. ამ პერიოდში ომი, შიმშილი, ეპიდემიები ევროპის ყველა ქვეყანას განსაკუთრებული სიმრავლით მოედო, რამაც უზომოდ დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია. სიკვდილთან „შეგუების" ერთ-ერთ საშუალებას მისი, როგორც სიცოცხლის დასასრულის ფილოსოფიური გააზრება და ალეგორიული ფორმით წარმოსახვა წარმოადგენდა. Danse Macabre-ს ჟანრი ისტორიის სხვადასხვა პერიოდშიც აქტუალურია. როდესაც კაცობრიობა მორიგი საფრთხის წინაშე დგებოდა, „სიკვდილი" კვლავ იჩენდა თავს სახელოვნებო სივრცეში. მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები და ქორეოგრაფები უბრუნდებიან სიკვდილის თემას და „აცოცხლებენ" მას თავიანთ ნაწარმოებებში.

"სიკვდილის ცეკვა" – ეს ტერმინი თითქოსდა სრულიად შეუთავსებელ სიტყვათა ნაერთია, რომელიც ასახავს სამყაროს მოძრაობისა და უძრაობის სინთეზს. მასში გაერთიანებულია, ერთი მხრივ, სიცოცხლის დაუოკებელი ჟინი და, მეორე მხრივ, მისი განადგურების, გაქრობის პერმანენტული საშიშროება. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი რამ მომხდარა: აღმაფრენები და კატაკლიზმები, მცირე სახელმწიფოების აღზევება და ბუმბერაზი ცივილიზაციების დამარცხება, გმირების განდიდება და დიდებულთა გაპატარკაცება. ფოლადის წრთობის მეთოდით მიედინება დრო, რომელიც მრავალი განსაცდელის წინაშე აყენებს ადამიანს, უქმნის გადაულახავ წინაღობებს და დაუძლეველ სირთულეებს. მაგრამ, ყოველ ჯერზე, უფსკრულის პირას მისული და მარცხისთვის განწირული ის პოულობს გზას, რათა დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ კალაპოტს და კვლავ დაიწყოს აღმშენებლობა. თუმცა, მეხსიერებაში დალექილი კატასტროფების კვალი არ ქრება შეუმჩნევლად, იგი შემოქმედებაში პოულობს ანარეკლს და ხელოვნების სხვადასხვა ფორმაში აისახება.

ჩვენი დროის გლობალურმა გამოწვევებმა, სამწლიანმა პანდემიამ და სრულიად მოულოდნელმა ომმა, მსოფლიო წესრიგი გვარიანად შეარყია. ამან გამოიწვია რეტროსპექტიული იმპულსები, გადაგვახედა წარსულში, რათა უკვე არსებული გამოცდილებით, განვჭვრიტოთ არაპროგნოზირებადი მომავალი.

დაუსრულებელი ომებისა და დაუნდობელი ეპიდემიების პერიოდად, რამაც დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია, შუასაუკუნეების ევროპა გვევლინება. სიკვდილთან „შეგუების" ერთ-ერთ საშუალებას მისი, როგორც სიცოცხლის დასასრულის ფილოსოფიური გააზრება და ალეგორიული ფორმით წარმოსახვა წარმოადგენს. სიკვდილს, როგორც მხატვრულ პერსონაჟს, ვხვდებით ამ პერიოდის ყველა შემოქმედებით ფორმაში: ლიტერატურაში, მხატვრობაში, მუსიკაში. თუმცა, განსაკუთრებით საინტერესოა სიკვდილის პერსონაჟის გამოჩენა და მისი არსებობის დაკავშირება საცეკვაო ქმედებასთან, რომელსაც სიკვდილის ცეკვას, ანუ „დანს მაკაბრეს" უწოდებენ.

ზოგადად, „სიკვდილის ცეკვის" შესახებ მსჯელობისას მკვლევრები ყურადღებას რამდენიმე ასპექტზე ამახვილებენ:

- ტერმინის ეტიმოლოგია;
- სიკვდილის თემატიკის წარმოშობა შუასაუკუნეების ხელოვნებაში;
- სიკვდილის ცეკვა, როგორც სულის მოსახსენიებელი რიტუალი და თეატრალიზებული მისტერია;
- სიკვდილის პერსონიფიცირებული სახის (პერსონაჟის) შექმნის ისტორია;
- სიკვდილის ცეკვის სიუჟეტები და შინაარსობრივი დატვირთვა;
- იკონოგრაფიული ნაწარმოებების სტილისტიკა და ა.შ.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხზე შევჩერდებით.

„დანს მაკაბრე“ არის ერთგვარი ალეგორიული ფორმა, რომელშიც სიკვდილი მრავალსახოვანი კორიფეა. მასთან დაკავშირებული სიუჟეტები ეფუძნებოდა ადამიანის სიცოცხლის, მიწიერი კეთილდღეობისა და ნეტარების წარმავლობას. სიკვდილი ყოველწუთიერად ემუქრება ყველას. მის წინაშე ყველა თანასწორია, რომის პაპიც და უბრალო გლეხიც, იმპერატორიც და ხელოსანიც, ახალგაზრდაც და ხნიერიც, მდიდარიც და ღარიბიც...

სიკვდილის პერსონაჟი არის მომაკვდავ კაცთა ფერხულის წინამძღოლი, თავმოსამე. იგი ფლეიტაზე მომნუსხველ ჰანგებს აჟღერებს და განწირულ ადამიანებს საცეკვაო მორევში ახვევს. კრუნჩხვითი, კლაკნილი და გრეხილი მოძრაობებით მორჩილად მიუყვებიან ისინი სიკვდილს. დიალოგი სიკვდილთან სევდიანი და, ამავდროულად, სატირული თხრობაა, რომელიც აძლიერებს ადამიანს გარდაუვალი უბედურების მოლოდინში.

ეს იდეები საფუძვლად დაედო ქრისტიანულ სწავლებას და განსაკუთრებით გაბატონდა შუა საუკუნეებში, როდესაც რთული ცხოვრების პირობებში, უბრალო მორწმუნეების წარმოსახვა სიკვდილს ხედავდა როგორც ბოროტების მკაცრ დამსჯელს. უპოვართა და დაჩაგრულთა კეთილისმყოფელი, სიკვდილი მათ უხსნიდა კარს უკეთეს სამყაროში. ფიქრები სიკვდილზე და ყოველივე მიწიერ ამაოებაზე განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ხალხში მე-10 საუკუნის ბოლოს. დაახლოებით ამავე დროს გაჩნდა ზეპირსიტყვიერების პირველი ნიმუშები, სადაც ეს ნააზრევი მოცემულია პოეტური ფორმით. შემდგომში, გამძვინვარებული შავი ჭირისა და სხვა სოციალური კატასტროფის ფონზე, შეიქმნა უფრო რთული ალეგორიები, სადაც სიკვდილი იყო პერსონიფიცირებული ან ფერმერის სახით, რომელიც სისხლით რწყავს სიცოცხლის ველს, ან ძლიერი მეფის სახით, რომელიც აწარმოებს დაუნდობელ ომს კაცობრიობის წინააღმდეგ და ა.შ.

ასეთი ალეგორიები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ვინაიდან, მათში შემავალი დიდაქტიკური დარიგებები ემსახურებოდა ხალხში რელიგიური გრძნობების განმტკიცებას, კათოლიკურმა ეკლესიამ დაუშვა ამ სიუჟეტების გამოსახვა ეკლესიებში, მონასტრის გალავნებზე, სასაფლაოებზე.

სიტყვათანაერთი „დანს მაკაბრე“ პირველად გამოიყენა მე-14 საუკუნის ფრანგმა პოეტმა ჟან ლე ფევრმა თავის პოემაში „Respit de la mort“ (1376) (სიტყვა სიტყვით „სიკვდილის სუნთქვა“).[1] ამასთანავე, ტერმინს „danse macabre“ არ გააჩნია ზუსტი ეტიმოლოგია და მისი წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს. სიტყვა ცეკვა, ქართულენოვან ვარიანტში ხშირად ჩანაცვლებულია სიტყვა „როკვით“ (მაგ. რეჟ. ა. ვარსიმაშვილის სპექტაკლის სახელწოდება „სიკვდილის როკვა“ (1998), სტრინდბერგის პიესის მიხედვით, არის თარგმანი რუსულიდან „пляски смерти“, მაშინ როდესაც ყველა ევროპულ ენაში ამ ტერმინში ფიგურირებს სიტყვა „ცეკვა“). ამასთანავე, ერთ-ერთი მკვლევარი, ი. იოფფე ფრანგულ სიტყვას „la danse“ განმარტავს არა მხოლოდ „მსვლელობის“, „ფერხულის“, „ბრუნვის“, „პასტორალის“ მნიშვნელობით, არამედ, უფრო არქაული სემანტიკითაც - „შერკინება“, „ჩხუბი“ „ბრძოლა“.[2]

დრამა და ცეკვა იმ დროს განუყოფლად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. „სიკვდილის ცეკვის“ სიუჟეტური ხაზი წარმოადგენდა მოკლე საუბრებს სიკვდილსა და ადამიანებს შორის. ამგვარი წარმოდგენები მე-14 საუკუნის საფრანგეთში გვხვდება. როგორც ისტორიკოსები აღწერენ, მათ სცენაზე გამოჰყავდათ შვიდი მაკაბელი ძმა, მათი დედა და მოძღვარი ელიაზარი (მაკაბელთა II წიგნი, თავები 6 და 7),[3] რის შედეგადაც გაჩნდა სახელი „მაკაბის ცეკვა“, რომელიც მოგვიანებით გადაიქცა „დანსე მაკაბრად“. სიუჟეტი ასახავს მათ წამებულ სიკვდილს. სხვა ვერსიით, სახელი მაკაბელი მომდინარეობს იქიდან, რომ სიკვდილის ცეკვა თავდაპირველად შესრულდა 1164 წელს მაკაბელთა ნაწილების იტალიიდან კიოლნში გადატანის ხსოვნის დღეს. პარიზის უდანაშაულო სასაფლაოს კედლებზე სიკვდილის ცეკვის სახის. განსხვავებული ვერსიით კი სიტყვა „მაკაბრეს“ წარმომავლობას არაბულ სიტყვა „საფლავს“ (maqabir) უკავშირებენ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისმის კითხვა, როგორ აღმოჩნდა იგი ლე ფევრის პოემაში „Le Respit de la mort“.

მე-15 საუკუნის დასაწყისიდან სიკვდილის ცეკვა უფრო და უფრო ხშირად აისახებოდა ფერწერა-

1 Jean Le Fèvre, Le Respit de la mort, 1970, pp. 749-752.

2 Иоффе, Мистерия и опера, 1937, с.70.

3 არაბიძე, მაკაბელთა, 2008, გვ. 16-29.

ში, ქანდაკებაში, ხეზე კვეთაში, ხალიჩებზე და 1485 წლიდან წიგნების ილუსტრაციებში. საფრანგეთიდან, სიკვდილის ცეკვის სურათებისა და პოეტური ახსნა-განმარტებების სიყვარული ინგლისმა აიტაცა და, როგორც სერვანტესის „დონ კიხოტის" ერთ-ერთი მონაკვეთი მიგვანიშნებს, ესპანეთშიც გავრცელდა. შემდეგ, გერმანიაში, სადაც ყველაზე ძლიერად მოიკიდა ფეხი. სიკვდილის ცეკვის გერმანული სურათებიდან უძველესი (მე-14 საუკუნის დასაწყისი) იყო კედლის მხატვრობა ბაზელის მახლობლად არსებულ მონასტერში. აქ 38-კაციანი კომპოზიცია ცალკეულ ჯგუფებად არის დაყოფილი და თითოეულ მათგანში სიკვდილი ცალკე პერსონაჟად ფიგურირებდა.

შეგვიძლია ჩამოვთვალოთ „დანს მაკაბრეს" რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოსახულება, რომლებიც საინტერესო შინაარსობრივი და სტილისტური ანალიზის საშუალებას იძლევა. ყველა მათგანში „დანს მაკაბრე" წარმოდგენილია როგორც სამყაროს რელიგიურ-ფილოსოფიური მეტაფორა და მიწიერი ცხოვრების ამაოების ალეგორიული ვიზუალიზაცია.

- ლუბეკის (ჩრდ. გერმანია) ეკლესიის სამლოცველოში სიკვდილის ცეკვის კომპოზიცია შედგება 24 ფიგურისგან, სადაც სამღვდელოება და საერო პირები ცეკვავენ სიკვდილის მიერ დაკრული ფლეიტის მუსიკის თანხლებით;
- ბერლინის წმინდა მარიამის ეკლესიის სამრეკლოს „დანს მაკაბრეს" კომპოზიცია (28 მოცეკვავე წყვილი);
- სტრასბურგის ეკლესიის ნახატები;
- ბერნის ამავე რიგის მონასტრის სასაფლაოს კედლებზე დატანილი ნახატები (მე-15 ს. პირვ. ნახ.) და ა.შ.

ზოგადად, როგორც აღვნიშნეთ, ასეთ ნახატებს ეკლესიის მსახურნი თავიანთი მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად თვლიდნენ, რაც მსმენელებში რელიგიური შიშის აღძვრასა და ცოდვილთა ჭეშმარიტ გზაზე მოქცევას გულისხმობდა.

1534 წელს საქსონიის ჰერცოგმა გეორგმა ბრძანა, შეესრულებინათ და დრეზდენში, მისი სასახლის მესამე სართულის კედელზე დაედოთ გრძელი ქვის რელიეფი, რომელიც წარმოადგენს სიკვდილის ცეკვას 27 ნატურალური ზომის ფიგურით.

გრავიურის ხელოვნების და ბეჭდვითი ტექნიკის განვითარებამ გამოიწვია „დანს მაკაბრეს" სიუჟეტების დიდი რაოდენობით ასახვა ახლებურ ფორმებში. ხალხური მოტივები პოეტურ სახეს ღებულობენ და ბეჭდვითი სახით საზოგადოებაში სწრაფად ვრცელდებოდნენ. „სიკვდილის ცეკვის" ორსაუკუნოვან ისტორიას აგვირგვინებს ჰანს ჰოლბაინ უმცროსის (1523-1526) გრავიურების ციკლი. ჰოლბაინმა შექმნა სიკვდილის ცეკვის ისეთი შთამბეჭდავი სურათი, რომელმაც დაჩრდილა თავად ჟანრის ისტორია და მსოფლიო კულტურაში შევიდა, როგორც მისი კლასიკური განსახიერება. ჰოლბაინ უმცროსის ციკლი, რომელიც შედგება 40 სურათისგან, გამოიცა 1538 წელს „უბის წიგნაკის" სახით.[4]

ჰოლბაინ უმცროსმა შექმნა თავისი შედევრი სრულიად განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვით. იგი უარყოფს შუასაუკუნეების სიკვდილის ცეკვის მსოფლმხედველობით საფუძველს და ამხელს სიკვდილთან თანაარსებობის მოჩვენებით კეთილდღეობას და ცრუ ჰარმონიას. სიკვდილის გამოსახულება კარგავს თავის ტრადიციულ მითოლოგიურ სემანტიკას. ჩონჩხი იქცევა არა მხოლოდ სიკვდილის სიმბოლოდ, არამედ, მის აბსტრაქტულ ალეგორიად.

ავტორი მიზნად ისახავს არა იმ აზრის გამოხატვას, რომ სიკვდილი ყველა ადამიანს ერთნაირად უმოწყალოდ ეპყრობა, მისი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავას, არამედ, ავითარებს იდეას, რომ სიკვდილი თითოეული ადამიანის ცხოვრებაში მოულოდნელად ჩნდება მისი ამქვეყნიური საზრუნავისა და სიამოვნებას შორის. ამიტომ, ფიგურების ან მოცეკვავე წყვილების უწყვეტი ნაკადის ნაცვლად (რაც ტრადიციულად გვხვდება წინა პერიოდში), ჰოლბაინმა შექმნა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცალკეული სცენების სერია, რომლებშიც სიკვდილი დაუპატიჟებელი სტუმარია, მაგალითად, ესტუმრება მეფეს მსუყე ტრაპეზის დროს, კეთილშობილ ქალბატონს ნეტარი ძილის დროს, ორატორს, რომელიც ატყვევებს მსმენელებს თავისი მჭევრმეტყველებით, გლეხს, რომელიც მინდორს ხნავს, ექიმს პაციენტის ვიზიტის დროს და ა.შ. რელიგიურ-მაგიური ნაწარმოებიდან სიკვდილის ცეკვა ხელოვნების ნიმუშად იქცა. ეს მეტამორფოზა ასახავდა ღრმა ცვლილებებს, რაც ხდებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

Danse Macabre-ს ჟანრი არა მხოლოდ შუასაუკუ-

4 Hans Holbein's Dance of Death (1523–5) https://publicdomainreview.org/collection/hans-holbeins-dance-of-death-1523-5

ნეების ხელოვნებაში იყო აქტუალური. ისტორიის მომდევნო პერიოდებში, როდესაც კაცობრიობა მორიგი საფრთხის წინაშე დგებოდა, „სიკვდილი“ კვლავ იჩენდა თავს სახელოვნებო სივრცეში. მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და რეჟისორები უბრუნდებოდნენ სიკვდილის თემას და „აცოცხლებდნენ“ მას თავიანთ ნაწარმოებებში. მხატვრობაში ამ თემით ინტერესდებოდნენ ბოსხი, პიტერ ბრეიგელი, ალფრედ რეტელი, ალფრედ კუბინი, ერნსტ ფუქსი და სხვ. ლიტერატურაში „დანს მაკაბრეს“ სიუჟეტებს მიმართავდნენ გოეთე, ბოდლერი, რილკე, ბრეხტი, ბლოკი, სტრინდბერგი. შეუდარებელი შედევრები შეიქმნა სამუსიკო ხელოვნებაში: შუბერტი, ლისტი, მუსორგსკი, შოსტაკოვიჩი, კამილ სენ-სანსი (მისი საყოველთაოდ ცნობილი სიმფონიური პოემა დაიწერა 1874 წ.). „დანს მაკაბრეს“ მოტივები ხშირად აისახება თეატრსა და კინოხელოვნებაში. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართულ სცენაზე დადგმული, უკვე ნახსენები ა. ვარსიმაშვილის სპექტაკლი „სიკვდილის როკვა“ (1988).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „დანს მაკაბრეს“ ასახვა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში, რომლის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს **კურტ იოსის** ბალეტი-პანტომიმა „მწვანე მაგიდა“ წარმოადგენს. იგი დაიდგა 1932 წელს და მეორე მსოფლიო ომის მომასწავებელი გახდა. კურტ იოსი თავის ბალეტში გლობალურ თემებს ეხება და სცენაზე პერსონაჟების მთელ გალერეას ხატავს: დიპლომატები, საქმოსნები, ჯარისკაცი, დედა, გოგონა... და, რა თქმა უნდა, სიკვდილი, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის ნგრევისა და უბედურების სიმბოლოდ იქცა.[5] განსხვავებით იოსისგან, **როლან პეტის** „სიკვდილი“ ერთი ადამიანის პირადი ტრაგედიაა. მისი ბალეტი „ყმაწვილი და სიკვდილი“ დაიდგა 1946 წელს იოჰან სებასტიან ბახის „პასაკალიაზე“. ბალეტმა ომის შემდგომი გულგატეხილობა, უიმედობა და სევდიანობა აირეკლა, სადაც ახალგაზრდა კაცის სასიყვარულო შეხვედრა სუიციდალური ფინალით სრულდება.[6]

და ბოლოს, გვინდა გავიხსენოთ თანამედროვე ქორეოგრაფიის ერთ-ერთი განუმეორებელი ნიმუში, რომელიც ეკუთვნის ჩეხ ქორეოგრაფ **ირჟი კილიანს**. ავტორი იყენებს ბალეტის სახელწოდებაში ისეთ სიტყვათანაერთს, სადაც სიტყვა „სიკვდილი“ კარგავს ბუნებრივ არსს და ნეტარების უმაღლესი წერტილის, ექსტაზის მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს, რაშიც მას მოცარტის ჯადოსნური მუსიკა ეხმარება. „პატარა სიკვდილი“ (1991) – ბალეტი სიყვარულზე, ლტოლვაზე, ვნებაზე, ბალეტი-ჰარმონია და სილამაზის სრულყოფილება.[7]

გამოყენებული ლიტერატურა:

- არაბიძე ი., მაკაბელთა ბიბლიური წიგნები და მათი ქართული თარგმანები: ჟურნ. ქართველოლოგია, №2, თბ., 2008.
- Jean Le Fèvre, Le Respit de la mort, Annuaires de l'École pratique des hautes études, 1970.
- James M. Clark, The Dance of Death by Hans Holbein, London. 1947.
- James M. Clark,The Dance of Death in the Middle Ages and Renaissance,1950.
- Sophie Oosterwijk and Stefanie Knoell, Mixed Metaphors. The Danse Macabre in Medieval and Early Modern Europe, 2011.
- Hans Holbein's Dance of Death (1523-5) https://publicdomainreview.org/collection/hans-holbeins-dance-of-death-1523-5.
- Иоффе И., Мистерия и опера, 1937.
- კურტ იოსი, ბალეტი „მწვანე მაგიდა“ https://www.youtube.com/watch?v=un5kYC8jpUk&t=1s
- როლან პეტი, ბალეტი „ყმაწვილი და სიკვდილი“ https://www.youtube.com/watch?v=aDCNmD-dvq4
- ირჟი კილიანი, ბალეტი „პატარა სიკვდილი“ https://www.youtube.com/watch?v=v6KqUT58fU4

5 კურტ იოსი, ბალეტი „მწვანე მაგიდა“ https://www.youtube.com/watch?v=un5kYC8jpUk&t=1s

6 როლან პეტი, ბალეტი „ყმაწვილი და სიკვდილი“ https://www.youtube.com/watch?v=aDCNmD-dvq4

7 ირჟი კილიანი, ბალეტი „პატარა სიკვდილი“ https://www.youtube.com/watch?v=v6KqUT58fU4

DANSE MACABRE – THE DANCE OF DEATH

Anano Samsonadze

Keywords: *Danse Macabre, Dance of Death, art, dance, choreography, Middle Ages, Kurt Jooss, Roland Petit, Jiri Kylian*

Danse Macabre is an artistic genre, a response to the epochal challenges of the Middle Ages. During this period war, hunger and epidemics spread rapidly throughout Europe, causing extremely high mortality rates. One of the ways of "facing up to" death, was pa hilosophical understanding of it as the end of life, and its representation in allegorical form. The *Danse Macabre* genre remained relevant in different periods of history. When humanity faced another threat, "death" appeared again in the artistic space. Writers, artists, composers, directors and choreographers return to the theme of death and brought it to life in their works.

At first glance, the term *Dance of Death* seems like an oxymoron reflecting the synthesis of movement and immobility in the world. It combines, on one hand, the inappeasable craving for life and, on the other, the constant danger of its destruction and disappearance. Many things have happened in the history of humanity: upheavals and cataclysms, the rise of small states and the defeat of mighty civilizations, the glorification of heroes and the disparagement of great ones. The way time passes by resembles steel hardening that leaves people facing many trials, creates insurmountable obstacles and invincible difficulties. But, every time, reaching the edge of the abyss and doomed to fail, they find a way to return to life as usual and start rebuilding it. However, traces of catastrophes deposited in the memory do not disappear unnoticed, they find reflection in creativity, in various forms of art.

The global challenges of our time, a three-year pandemic and a completely unexpected war, have shaken world order to the core. This has given rise to retrospective impulses, to look back into the past and envisage the unpredictable future from the experience we already have.

Medieval Europe appears as a period of endless wars and merciless epidemics that caused great mortality. One of the ways to "face up to" death is the philosophical understanding of it as the end of life and imagining it in an allegorical form. We find death as an artistic character in all creative forms of this period: literature, painting, music. However, it is particularly interesting to see the appearance of the character of death and to connect this presence with the dance act, which is called the dance of death or *Danse Macabre*.

In general, when discussing the Dance of Death, researchers focus on several aspects:

- Etymology of the term
- Origin of the themes of death in medieval art
- The Dance of Death as a ritual of commemoration of the soul and a theatricalized mystery
- The history of the creation of the personified image (character) of death
- Plots and content of the Dance of Death
- Stylistics of iconographic works, etc.

We will only focus on several issues.

Danse Macabre is a kind of allegorical form in which death is a multifaced coryphee. Stories related to it were based on the transience of human life, earthly prosperity and bliss. Death threatens everyone every minute. Everyone is equal before death, both the pope and the simple peasant, the emperor and the craftsman, the young and the old, the rich and the poor.

The character of Death is the leader of the round or chain dance, people led by the tavmosame leader playing mesmerizing tunes on the flute and draging the doomed people into a dancing whirlwind. With convulsive, winding and twisting movements, they obediently follow death. A dialogue with death is a sad and yet satirical narrative, which strengthens a person in anticipation of inevitable misfortune.

These ideas formed the basis of Christian teaching and were especially prevalent in the Middle Ages, hard-

ship prevailing and the imagination of ordinary believers seeing death as a harsh punishment for evil. Death, a benefactor of the indigent and oppressed, opened the door for them to a better world. Thoughts about death and mundane vanity were especially widespread among the people at the end of the 10th century. Around the same time, the first samples of folklore appeared, where this thought is given in poetic form. Later, against the backdrop of the raging plague and other social catastrophes, more complex allegories were created where death was personified either as a farmer watering the field of human life with blood, or as a powerful king waging merciless war against humanity, etc.

Such allegories were very popular, and since the didactic teachings contained in them served to strengthen religious feelings among people, the Catholic Church allowed these stories to be depicted in churches, on monastery walls, and in cemeteries.

The phrase danse macabre was coined by 14th-century French poet Jean Le Fevre in his poem *Respit de la mort* (1376) (Breath of Death).[1] In addition, the etymology of term is obscure, with several hypotheses proposed. The word dance, in the Georgian version, is often replaced by the words *Dancing* or *Saltation.* In addition, researcher I. Joffe interprets the French word la danse not only in the meaning of "marching", "round dance", "rotating", "pastoral", but also with the more archaic semantics of "clash", "combat", "fight."[2]

At that time drama and dance were inseparably linked. The story line of Dance of Death represented short conversations between death and humans found in 14th-century France. As historians describe, they brought on stage the seven Maccabean brothers, their mother and teacher Eleazar (2 Maccabees 6-7)[3], which gave rise to the name Dance of the Maccabees, and later Danse Macabre. The story depicts their tortured death. According to another version, the name Maccabee comes from the fact that the Dance of Death was originally performed in 1164 to commemorate the transfer of the Maccabean remains from Italy to Cologne, on the walls of the Holy Innocents' Cemetery in Paris, like the dance of death. According to a different version, the origin of the word macabre is linked to the Arabic word *grave* (*maqabir*). In this case, though, the question of its appearance in Le Fevre's poem *Le Respit de la mort arises*.

From the beginning of the 15th century, the Dance of Death was depicted more and more often in paintings, sculptures, wood carvings, carpets and, from 1485, in book illustrations. From France, the love of images and poetic explanations of the dance of death was taken over by England and, as a passage from Cervantes' Don Quixote suggests, spread to Spain and then to Germany, where it took root. The earliest (early 14th century) German depiction of the Dance of Death is a wall painting in a monastery near Basel. Here, a 38-member composition is divided into separate groups, and in each of them, Death appears as a separate character.

We can list several important images of *Danse Macabre* with interesting content and stylistic analysis. In all of them, *Danse Macabre* is presented as a religious-philosophical metaphor of the universe and an allegorical visualization of the vanity of earthly life.

- The composition of the Dance of Death in the chapel of the church in Lubeck (North Germany) consists of 24 figures, where the clergy and the laity dance to the accompaniment of flute music played by Death
- *Danse Macabre* composition of the belfry of St. Mary's Church in Berlin (28 dancing couples)
- Strasbourg church paintings
- With paintings on the walls of the cemetery of the monastery of the same order in Bern (first half of the 15th century), etc.

In general, as we have mentioned, such paintings were considered by clerics an important tool for achieving their goal of instilling religious fear in listeners and converting sinners to the true path.

In 1534, Duke George of Saxony ordered a long stone relief depicting the Dance of Death with 27 life-size figures to be placed on the wall of the third floor of his palace in Dresden.

The development of the art of engraving and printing techniques led to the depiction of a large number of *Danse Macabre* stories in new forms. Folk motifs take on poetic form and spread quickly in society in printed

1 Jean Le Fèvre, Le Respit de la mort, Annuaires de l'École pratique des hautes études, 1970, pp. 749-752

2 Иоффе, Мистерия и опера, 1937, с.70.

3 არაბიძე, მაკაბელთა, 2008, გვ. 16-29

form. A cycle of engravings by Hans Holbein the Younger (1523-1526) completes the two-century history of the Dance of Death. Holbein created such an impressive image of the dance of death that it overshadowed the history of the genre itself and entered world culture as its classic embodiment. Holbein the Younger's cycle, consisting of 40 pictures, was published in 1538 in the form of a notebook[4].

Holbein the Younger created his masterpiece with completely different content. It rejects the worldview basis of the medieval dance of death and exposes the illusory prosperity and false harmony of coexistence with death. The image of death loses its traditional mythological semantics. The skeleton becomes not only a symbol of death, but also its abstract allegory.

The author aims not to express the idea that death treats all people equally mercilessly, regardless of his age and social status, but to develop the idea that death suddenly appears in the life of each person in the midst of his worldly cares and pleasures. Therefore, instead of a continuous flow of figures or dancing couples (which is traditionally found in the earlier period), Holbein created a series of independent individual scenes in which death is an uninvited guest, for example, visiting a king during a sumptuous meal, a noble lady in blissful sleep, an orator captivating his audience with eloquence, a farmer plowing a field, a doctor visiting a patient, etc. From a religious-magical work, the dance of death became a sample art. This metamorphosis reflected profound changes taking place in public consciousness.

The genre of *Danse Macabre* was relevant not only in medieval art. In the following periods, when humanity faced another threat, Death appeared again in the artistic space. Writers, artists, composers and directors returned to the theme of death and revived it in their works. Bosch, Pieter Bruegel, Alfred Rethel, Alfred Kubin, Ernst Fuchs and others were interested in this theme in painting. Goethe, Baudelaire, Rilke, Brecht, Blok, Strindberg used *Danse Macabre* stories in literature. Incomparable masterpieces were created in musical art: Schubert, Liszt, Mussorgsky, Shostakovich, Camille Saint-Saëns (his well-known symphonic poem was written in 1874). *Danse Macabre* motifs are often reflected in theatre and cinema. As one of the examples is A. Varsimashvili's play *Dance of Death* (1988).

Reflection of Danse Macabre in choreographic art deserves particular attention, one of the best examples of which is Kurt Jooss's ballet-pantomime *The Green Table*. It was staged in 1932 and became a prognostication of World War II. Kurt Jooss deals with global themes in his ballet and paints a whole gallery of characters onstage: diplomats, businessmen, soldiers, mothers, girls... and, of course, Death, which has become a symbol of destruction and misery for the whole world.[5] Unlike Jooss, Roland Pettit's Death is a personal tragedy of one younker. The ballet *Le Jeune Homme et la Mort* was staged in 1946 based on Johann Sebastian Bach's *Passacaglia.* The ballet reflected the post-war heartbreak, hopelessness and sadness, where a young man's love affair ends in a suicidal finale.[6]

And finally, one of the unique examples of modern choreography by Czech choreographer Jiri Kylian. The author uses such a combination of words in the name of the ballet, where the word death loses its natural essence and acquires the metaphorical meaning of the highest point of bliss, ecstasy, in which Mozart's magical music helps him. *Petite mort* (1991), a ballet about love, longing, passion, harmony and the perfection of beauty.[7]

4 Hans Holbein's Dance of Death (1523–5) https://publicdomainreview.org/collection/hans-holbeins-dance-of-death-1523-5

5 Kurt Jooss's ballet "The Green Table" https://www.youtube.com/watch?v=un5kYC8jpUk&t=1s

6 Roland Pettit's ballet "Le Jeune Homme et la Mort" https://www.youtube.com/watch?v=aDCNmD-dvq4

7 Jiri Kylian's ballet "Petite mort " https://www.youtube.com/watch?v=v6KqUT58fU4

REFERENCES:

- არაბიძე ი., მაკაბელთა ბიბლიური წიგნები და მათი ქართული თარგმანები: ჟურნ.ქართველოლოგია, №2, თბ., 2008.
- Jean Le Fèvre, Le Respit de la mort, Annuaires de l'École pratique des hautes études, 1970.
- James M. Clark, The Dance of Death by Hans Holbein, London. 1947.
- James M. Clark,The Dance of Death in the Middle Ages and Renaissance,1950.
- Sophie Oosterwijk and Stefanie Knoell, Mixed Metaphors. The Danse Macabre in Medieval and Early Modern Europe, 2011.
- Hans Holbein's Dance of Death (1523–5).
- https://publicdomainreview.org/collection/hans-holbeins-dance-of-death-1523-5.
- Иоффе И., Мистерия и опера, 1937.
- Kurt Jooss's ballet "The Green Table" https://www.youtube.com/watch?v=un5kYC8jpUk&t=1s
- Roland Pettit's ballet "Le Jeune Homme et la Mort" https://www.youtube.com/watch?v=aDCNmD-dvq4
- Jiri Kylian's ballet "Petite mort" https://www.youtube.com/watch?v=v6KqUT58fU4